



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბინდ ბუქ-
უბი სიფყავა, ფუცილებით და ჭბრებით ბუბ-
თის გაფანა ყულა უჯარბინბბაჟ უსბბაგოუსია.

გაგოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 5-6 მაისი, 2021 წ. №95-96 (9214-9215) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

**მინის პრობლემა
ქვეყნის ბელს
უკავშირდება!**

**ქართულმა
მინამ 5
ჯეროვანი
პატრონი უნდა
დაიბრუნოს!**

იყიდება, იყიდება გავული...

**ო, ენაე
ჩვენო,
დედაო
ენაე!**

**ანუ, ცრუსაქმიანობა
მკვდარუბილი
დეპარტამენტისა...**

**მაცნინასია ფართოვდება,
მაღე პროცესში მთავრობისა და
პარლამენტის წევრები ჩაერთვებიან.**

მაცნინაციის პროცესში მიმდინარე კვირიდან მთავრობისა და პარლამენტის წევრები ჩაერთვებიან. უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადამწყვეტილებით, ვაქცინაციის პროცესში პრიორიტეტულ ჯგუფებად განისაზღვრებიან ტურიზმის და ზოგადად, მასპინძლობის სექტორში დასაქმებული პირები, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლები, კონტროლიორები.

საბჭოს სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილის ხელმძღვანელობით გუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა, იმსჯელეს ე.წ მწვანე პასპორტების შესახებ, რომელიც ვაქცინაციის სრული კურსის ჩატარების შემდეგ გაიცემა. აღნიშნულ საკითხზე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს და ის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს დასამტკიცებლად უახლოეს პერიოდში წარედგინება. გარდა ამისა, საბჭოს ფორმატში განიხილება სხვადასხვა ტიპის შეღავათების დაწესება იმ პირებისთვის, რომლებსაც ჩატარებული ექნებათ ვაქცინაციის სრული კურსი.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან დადგენილი რეგულაციები და ხელი შეუწყონ ვირუსის გავრცელების პრევენციას, სწორად გამოიყენონ პირბადე და დაიცვან სოციალური დისტანცია. საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევის გამოვლენიდან დღემდე, ვირუსით ინფიცირების 313 742 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა გამოვლინდა, საიდანაც 295 458 პირი გამოჯანმრთელდა, გარდაცვლილია 4 183 ადამიანი.

**მსოფლიო
პატრიარქი
ბატოლოგოში:** **რუსეთი აფხაზეთის ეკლესიის
პატრიარქის აკაკივას პრ და პერ ცნობს!**

**სულიერებისგან დასლილი ქვეყნის
საპალლო დღეპანდელობა!**

**სრულიად საქართველო კათოლიკოს-
პატრიარქის საადგომო ეპისკოპა**

ყოვლადსამღვდელონი მღვდელმთავარნი, ღირსნი მოძღვარნი, დიაკონნი, ბერ-მონაზონნი, ხელისუფალნი, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნი წევრნი, მკვიდრნი ივერისა, და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნი თანამემამულენო,
ქრისტე აღდგა!

„არა ყველა, ვინც მტყვის მე: უფალო, უფალო!“

შევა ცათა სასუფეველში, არამედ ის, ვინც აღასრულეს ჩემი ბეციერი მამის ნებას“ (მთ, 7,21).
კვლავ დადგა უამი დიდებული, – აღდგა უფალი ძალითა ძლიერი, რომელმაც სრულად შეცვალა სამყარო და განაცხოველა იგი.

მთელს დედამიწაზე ხარობს ეკლესია და მისი შვილნი, რადგან ამიერიდან „სამოთხე განღებულ არს და სიკუდილისა ბჭე დახშულ არს. პირველქმნილი ადამიკუვლად განახლებულ არს და სამოსელი უკუდავემისა შემოსილ არს“ (იადგარი). დღეს ერთად შენცხვინენ ეშმაკი და სიკვდილი, გაცოცხლდნენ წინასწარმეტყველნი და ელხინათ მართლებს – „მამ, გლოვისი სამოსელი განიძარცვე და სიხარულის სამკაულით მონითე, წმინდა ქალაქო“ (წმ. მელეტი ანტიოქიელი).
ქრისტე აღდგა!

გიხაროდეს ქალჩულო, რამეთუ შენგან და შენ მიერ იშვებენ ყოველნი კიდენი ქუეყანისანი.
გიხაროდენ, ერნო, ჭაბუკნო და ასულნო, მოხუცებულნი ყრმათა თანა, რამეთუ მიზანი მონოტიისა განქარვებულია და მახენი ეშმაკისა – გაშიშვლებული.

გიხაროდეს, შენც, მიჩაე და ბეცაე, მთაო და ბღვაო, და ყოველნი მყოფნი მათ შინა; შემოდის დღე – სასწაული, დღე – მაცხოვრებელი, დღე – გადამრჩენელი! ამიტომაც ვხმობთ: გუშინ თანა-ჯვანსევეცმობი ქრისტესთან, დღეს თანა-ვიდიდებ; გუშინ თანა-მოვკვდებოდი, დღეს თანა-ცხოველვიქმნები; გუშინ თანა-და-

ვეფვლოდი, დღეს თანა-აღვდგები (წმ. გრიგოლ დვთისმეტყველი).

აღდგომა ქრისტესი გვაზიარებს მის მიერ სიკვდილის ძლევის უდიდეს სიხარულთან, რაც ჩვენს პირად უკვდავებასაც უკავშირდება, რადგან „თუ სიკვდილის მსგავსებით თანაშემზდილნი ვართ მასთან, აღდგომითაც მას ვემსგავსებით“ და როგორც ქრისტე აღდგა მკვდრეთით, ასევე ჩვენც იმსოფლად განახლებულ სიცოცხლეში ვივლით“.

განახლებული ცხოვრება კი დედამიწაზევე უნდა დავიწყეთ, რომ „სიცოცხლის სულს რჯულმა ქრისტე იესომი ცოდვისა და სიკვდილის რჯულისგან განგვათავისუფლოს“.

სიკვდილი არის საიდუმლოებით მოცული კარიბჭე, რომლის შეღებისთანავე სულისთვის იწყება მარადიული ცხოვრება, თუმცა მაინც არასრული; შემდეგ კი მოაწვევს უამი, როცა მიცვალებულნი შემოსავენ განახლებულ სხეულს და „კეთილისმოქმედნი გამოვლენ სიცოცხლის აღდგომისთვის, ხოლო მონოტიისმოქმედნი, – განკითხვის აღდგომისათვის“.

თუ ქრისტემდე სიკვდილი მოიწეოდა ყველაზე, – მონაწილეზეც და ურწმუნოზეც, იუდეველზეც და წარმართზეც, ასევე მთელ სამყაროზე, – მეორედ მოსვლის შემდეგ აღარ იარსებებს არც სიკვდილი და არც ხრწნილება და უფალი ყველას და ყველაფერს აღადგენს პირვანდელ მდგომარეობაში და სამართლიანობით მიაგებს ყველას მარადიულ ადგილ-სამყოფელს.

როგორი იქნება ჩვენი ხვედრი გარდაცვალების შემდეგ, ან საყოველთაო აღდგომისას, როდესაც მაცხოვარი კეთილსა და მონოტის მარადიულად განაცალკევებს და გამიჯნავს?

ღმერთმა თავისი მეფობა სიყვარულით შექმნილ მთელ კოსმოსზე განავრცო და ადამიანი, რომელიც თავის თავში მთელი ამ სამყაროს მომცველია, განმგებლად დაადგინა, რათა მისი სამეფოსთვის ღირსეულად ეწინამძღვრა და ყველა და ყველაფერი, როგორც თავისი ნაწილი, უფლის მსგავსად, სიყვარულით ემართა.



პარლამენტში ინიცირებულია ორი პროექტი – როგორც ამნისტიით გამოვა ნიკა მელია ციხიდან? ოპოზიციამ 20 ივნისის საქმეზე ამნისტიის საკუთარი კანონპროექტი უკვე დაარეგისტრირა. საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით, სამართლებრივი პასუხისმგებლობა პოლიციელებს დაზარალებულის თანხმობის გარეშე ვერ მოეხსნებათ.

უკვე დაინიცირებულია. მათი პროექტის მიხედვით, ამნისტიის შეფასება ყველას, როგორც აქციის მონაწილეებს, ისე სამართალდამცველებს, თუმცა ერთი გამონაკლისით, კანონი ვერ შეეხება იმ პირებს, ვისაც ბრალი საერთაშორისო კონვენციის მუხლით დაუმტკიცებია.

გია აბაშიძე: ესაა დოკუმენტი, რომელზეც ეპროკავშირის ხელმოწერაა და არა ნათელაშვილის ფანჯარაში შემდგარი ფარგლი უპრესალი, რომელსაც როგორც გინდა, ისე გადააკითხებ!

პარლამენტში 20 ივნისის შესახებ ორი კანონპროექტი ინიცირებულია. ერთი ხელისუფლების, მეორე კი ოპოზიციის მიერ. მოვლენების რა სახით განვითარებას ელით?

„ქართულ ოცნებას“ ნამდვილად აქვს იმის საშუალება, რომ ხმათა უმრავლესობით, ამნისტიის შესახებ კანონპროექტი დაამტკიცოს და არც იმას გამოვრიცხავ, „ოცნებიდან“ გასულმა ნ-მა დეპუტატმა ხელისუფლების მიერ ინიცირებულ კანონპროექტს მხარი დაუჭიროს. თუმცა აქ მნიშვნელოვანი გარემოება ის არის, რომ ოპოზიციის კანონპროექტი შარლ მიშელის დოკუმენტის შინაარსს და სულისკვეთებას სრულიად აცდენილია. ოპოზიციის საქმეზე მსჯავრდებულნი ადამიანების გარჩევას მუხლების მიხედვით ითხოვს, არადა მიშელის დოკუმენტში ნათლად წერია, რომ ეს 20 ივნისის საქმეზე მსჯავრდებულ ყველა პირს უნდა შეეხოს. მიშელის დოკუმენტის იმპროვიზაცია არასერიოზულად მიმაჩნია, რომელიც იმ შინაარსს არის აცდენილი, რაც რეალურად დოკუმენტში წერია.

– ოპოზიციის ნაწილიდან გაიფურა მოსაზრებამაც, რომ მიშელის დოკუმენტის ირგვლივ მორატორიუმი გამოცხადდეს და ამნისტიის თემაზე მსჯელობა დაიწყოს. რამდენად სერიოზულად მიგაჩნიათ ოპოზიციის მხრიდან მსგავსი განცხადებების გაკეთება?

– ვხედავთ, რომ თავად ოპოზიციის შიგნითაც აზრთა სხვადასხვაობაა. დიპლომატია და საერთაშორისო ურთიერთობები სრულიად განსხვავებული ცნებებია, რომლის გააზრებასაც ოპოზიცია ვერ ახერხებს. როდესაც ევროპული საბჭოს პრეზიდენტის მიშელის დოკუმენტის რევიზიას ე.წ. პროდასავლური ოპოზიცია აპირებს, ეს სრულიად სხვა რაღაცაზე მიუთითებს, ისინი საზოგადოებაში ანტიდასავლურ განწყობებს აღვივებენ. დავულოდოთ საერთაშორისო პარტნიორობის შეფასებებს. ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომელიც საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა, მკაფიოდ განაცხადა, რომ მიშელის დოკუმენტი ყველანაირი ცვლილების გარეშე უნდა შესრულდეს. „ნაციონალური მოძრაობა“ ისე აკეთებს, რომ ლამის, მთელი დასავლეთი ეხვეწება პირობები შეასრულოთ. ეს არის კატიგორიულად მიუღებელი.

– რატომ არის „ნაციონალური მოძრაობა“ და თავად ნიკა მელია ამნისტიის კატეგორიული წინააღმდეგი. ფიქრობთ, რომ ეს მას როგორც პოლიტიკოსს დააზიანებს? მიშელის დოკუმენტის შესრულება მათ გემებს ხელს რა ფორმით უშლის?

– „ნაციონალური მოძრაობას“ ზიანს მოუტანს ზუსტად ის პოლიტიკა, რომელსაც ისინი ახორციელებენ. ესაა არათანმიმდევრულობა და ირაციონალურობა. გავიხსენოთ ნიკა მელიას უნინდელი განცხადებები, როცა ის ამბობდა, რომ ვერ დამიჭერთ და გირაოს არ გადავიხდით, თუმცა აღმოჩნდა, რომ ევროკავშირში რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაცია მას გირაოს გადაუხდის. სად არის აქ თანმიმდევრულობა? გვახსოვს ნიკა გვარამიას თეთრ დაფაზე ხელმოწერით როგორ დაიფიცეს, რომ პარლამენტში არ შევიდოდნენ. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეშიც ხელწერილი დადეს, რომ ეს ბოიკოტი გაგრძელდებოდა. ასეა კი დასავლეთიდან დაჟინებული მოთხოვნა აიძულებს პარლამენტში შევიდნენ, ხმათა უმრავლესობით აღიარებული ამნისტიის კანონპროექტს მხარი დაუჭიროს, რომელიც შარლ მიშელის დოკუმენტის შინაარსს შეესაბამება.

საარჩევნო რეფორმისთან დაკავშირებით პარლამენტში შექმნილი საშუალო ჯგუფი საქმიანობას 10 მაისიდან განაახლებს



პარლამენტის წევრი ნინო წილოსანი ამბობს, რომ აუცილებელია დროულად დაინიცირდეს და მიიღონ საარჩევნო ცვლილებები, რადგან მან გავლენა თვითმმართველობის არჩევნებზე უნდა იქონიოს.

საარჩევნო რეფორმაზე ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის დასკვნები უკვე გამოქვეყნდა და ის „ქართულმა ოცნებამ“ პოზიტიურ გზავნილებად შეაფასა. რაც შეეხება იმ ტექნიკური ხასიათის შენიშვნებს, რომლებიც დასკვნაშია მოცემული, ჯგუფის მუშაობის განახლებისთანავე იქნება გათვალისწინებული.

შალვა პაპუაშვილი: ნიკა მელიამ „თავი დაიმთავრა“



შალვა პაპუაშვილი ნიკა მელიას ადვოკატის განცხადებას გამოეხმაურა.

„სელინ უფლებების დაქვემდებარებაშია პროკურატურაც, სასამართლოც, ნებისმიერ დროს, ხელისუფლებას შეუძლია, მიმართოს სასამართლოს, მოითხოვონ გირაო, ნიკა მელიას თანხმობა საერთოდ არაფერ შუაშია. არ არის საჭირო ნიკა მელიას თანხმობა არავითარ გირაოზე“, – დასძინა კონდახიშვილმა.

სოზარ სუბარმი: სააკაშვილი აბებს ყველა არჩევნებს და ქვეყანაში ჩამოსვლას ვერ ბედავს!

– ამის შესახებ პარლამენტის თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარემ, სოზარ სუბარმი განაცხადა. მან კომენტარი გააკეთა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ „დოიჩე ველეს“ რუსულ რედაქციასთან გაკეთებულ განცხადებაზე, რომ მას საქართველოში „გასაგიჟებელი მხარდაჭერა აქვს“.



„საკაშვილი „იგებს“ რვა წელია, მაგრამ ყველა არჩევნებს აგებს და ქვეყანაში ჩამოსვლას ვერ ბედავს. „გიჟური“ გამონათქვამები კარგად მეტყველებს მის ფსიქიკურ განწყობაზე და ამ თემაზე აღარ გავაგრძელებ“, – განაცხადა სოზარ სუბარმი.

ირაკლი ქადაგიშვილი: ნიკა მელიას კანონდარღვევით სურდა შარლ მიშელის მოხმობა და ამ თემაზე აღარ გავაგრძელებ!

„მისი ყველა განცხადება ემსახურებოდა იმას, რომ გამოჩენილიყო თავისუფლებისთვის და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ გმირად. სინამდვილეში ის

ლტონფორმირდა ადამიანად, რომელმაც დაარღვია კანონი და კანონდარღვევით სურდა შარლ მიშელის მოხმობა, რეალურად კი აღმოჩნდა საპატიმროში და ახლა იძულებულია დათანხმდეს გირაოს, რადგან იცის, რომ აბსოლუტურად წამგებიანი, უპერსპექტივო, ძალიან დიდი ზიანის მომტანი აღმოჩნდა ოპოზიციისთვის მისი პატიმრობაში ყოფნა. ეს არის იმ პოლიტიკის შედეგი, რასაც ჰქვია უპრინციპობა, სახელმწიფოს და ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ წასვლა და პოლიტიკური ბრძოლის მარგინალიზაცია“, – განაცხადა ქადაგიშვილმა.

გიორგი ვოლსკი: ნიკა მელია უტურპის მოქმედება ბრძოლის რეალიზაციის ვერ ბედავს!

„ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი მიზანი – მიხეილ სააკაშვილით დაწყებული, ნიკა მელიას ადვოკატებით დასრულებული – იყო ის, რომ როგორმე მელიასთან წამებული გმირის ფიგურა შექმნათ. ეს არ გამოვიდა, ნიკა მელიას სვლა აღარ დარჩა – უნდა გირაოს დათანხმდეს და საპატიმროდან გამოვიდეს, მაგრამ შტურმის მომწყობთა „ბრიგადირის“ როლიდან და ფუნქციონირებას ვერ გამოიღოს.



საერთაშორისო და ქართული საზოგადოების მოთხოვნა, რასაკვირველია, პოლარიზებულია იმ სტრატეგიასთან და გეგმასთან, რაც „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს. მელია ამ ორ განზომილებას შორის არის დეკარგული. არ მგონია, რომ მას ადვოკატებმა სწორი რჩევები მისცენ – დავინახეთ მათი მოქმედება სასამართლოში. საზოგადოების წინაშე ბევრად სერიოზული და მნიშვნელოვანი ამოცანებია, რომელშიც ვერ ეწერება პათოსი, რისი შექმნაც „ნაციონალური მოძრაობას“ სურს“, – განაცხადა გიორგი ვოლსკიმ.



საქართველოს ჩსპუკლია

ფრიალოსანი

ნიკოლოზის სუთიანები

მე-20-ე ნომრად განთავსდა 29 წლის ნიკოლოზ ბასილაშვილმა ხუთივე მეტოქე ისე დაამარცხა...



შემდეგ იგი ასევე უპრობლემოდ, წვიმის გამო გადადებული ორდღიანი ბრძოლაში სლოვაკ ნორბერტ გომბოშს...

სუთი რგოლი



მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა გოგიტა არქანიამ (+84 კგ) ღირსეულად მოიგო...

არქანიას ღირსეულობა

ჩვენი გუნდის კაპიტანმა ზედიზედ სძლია უნგრელ მოღონარს - 3:0, ესპანელ მარკოსსა - 9:3...

ბრძენთა თაგაზი

ლევანის სხენარით

საქართველოს ვაჟთა საიუბილეო - მე-80 საჭადრაკო პირველობის გამარჯვებული 6,5 ქულით...



მსგავსი პირადი მონაგროთი დაასრულა ტურნირი ვერცხლის მედალოსანმა...

ევროპასკეპი - 2022

გაეხანით კალენდარს

თბილისმა ევროპის ჩემპიონატის მატჩებს ერთხელ უკვე უმასპინძლა, ოღონდ საბჭოთა ეპოქაში და, თანაც, მოსკოვთან ერთად...

ფუძველს ტურნირის ფორმატი გვაძლევს - მოგესხენებათ, მერვედფინალში თითოეული სექსტეტიდან 4-4 საუკეთესო გუნდი გავა...


EUROBASKET Tbilisi Georgia GROUP A ESP TUR BEL RUS GEO BUL

- „ა“ ჯგუფის კალენდარი 1 სექტემბერი. საქართველო - ბელგია, ესპანეთი - ბულგარეთი...

ოქტაგონი

ქართული სააღდგომო...

UFC-ის ქართველი მებრძოლეები ადდგომას გამთენიისას ლას-ვეგასის ოქტაგონზე გავიდნენ და სეზონის პირველი ჩხუბები გამარჯვებით დაასრულეს...



ნარმატებათა სერია ექვსამდე ასევე მასპინძელ კოდი სტამანთან აშკარა უპირატესობით გაზარდა.

ტრადიცია

იქნებ, ჩაუგაგოთ?

მინც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტულ ცხოვრებას ადევნებს თვალს, ალბათ, გაუჩნდებათ სურვილი...

იქ, კანცლერი, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა ურთიერთობის სამსახურის უფროსი მიხეილ დიაკონიძე...



